ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3001105

ნომერი: AR1462979

თარიღი : 10.12.2016

გაცემის თარიღი : 15.12.2016

გაცნობის თარიღი : 16.12.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ომარ ხიზანიშვილი , N 17 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შორენა ტაბაღუა პ/ნ 58001003884
- ხობი ს. შუა ხორგა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: დასაზუსტებელია სარეკონსტრუქციო სამუშაოების საკითხი. კერძოდ გაურკვეველია არსებული შენობის კონსტრუქციაში მოქცეულია ღია სივრცე (რომლის რეკონსტრუქციაც ხორციელდება ამ ეტაპზე), დარეგისტრირებულია თუ არა საერთო ფართის ნაწილად საჯარო რეესტრში. აღნიშნულის დასადასტურებლად წარმოადგინეთ ის ანაზომი დოკუმენტაცია (მასზე საპროექტო არეალის მონიშვნით), დამოწმებული რეესტრის მიერ, რომლის საფუძველზეც დარეგისტრირდა ფართები საჯარო რეესტრში. აღნიშნული გაურკვეველობა გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ არქიტექტურის სამსახურის მიერ შენობა შეთანხმებული და დადასტურებული იყო მსგავსი ტიპის ღია სივრცეების გარეშე.

თუ დადასტურდა ის გარემოება, რომ სარეკონსტრუქციო ფართი რეალურად რეესტრში ჩაშიფრული საერთო ფართის შემადგენელია ნაწილია, ასეთ შემთხვევაში საკითხის I კლასად განხილვა შესაძლებელი იქნება, თუმცა დამატებით წარმოსადგენი იქნება არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები, გადაღებული შედარებით შორი მანძილიდან, სხვადასხვა რაკურსის ფიქსაციით და მათ საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟები (მასალებისა და ზომების მითითებით). აქვე გაითვალისწინეთ, რომ ვიტრაჟის ფორმა და გაბარიტული ზომები უნდა იმეორებდეს ფასადზე უკვე არსებული ვოტრინების იერსახესა და გაბარიტებს. ასევე დამატებით წარმოსადგენი იქნება მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა, მასზე საპროექტო არეალის მონიშვნით.

წინააღმდეგ შემთხვევაში (იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ფართი არ არის რეგიტრირებული), საკითხი ვერ იქნება განხილული I კლასის კუთხით და საკითხი უნდა დააყენოთ არსებული შენობის რეკონქტრუციაზე, მშენებლობის ნებართვის სამივე სტადიის გათვალისწინებით.
დამატებით წარმოადგინეთ შპს "ჯიმ გრუპის" ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის თანხმობა ან აღნიშნული პიროვნება დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.